განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

**დოქტორანტურა**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი

2 ნოემბერი, 2020

დასკვნის  წარდგენის თარიღი

6 დეკემბერი, 2020

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | კულტურისა და მედიის სოციოლოგია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორნატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სოციოლოგიის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0314 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 30 ECTS სასწავლო კომპონენტი. სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა-6 სემესტრი |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, 2015 წელი, 12.06. გადაწყვეტილება #49 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ემზარ ჯგერენაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა კირვალიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, | თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის |

კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| ქვეყანა) | სახელობის უნივერისტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურის და მედიის სოციოლოგიის" სადოქტორო პროგრამა, 2015 წლის 12 ივნისს აკრედიტაციის გავლევის შემდეგ, განახლებული სახით არის წარმოდგენილი, რაც გამოხატულია პროგრამისთვის სამი სავალდებულო და ერთი არჩევითი დარგობრივი კურსის დამატებაში. პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. აქედან სასწავლო კომპონენტი შედაგენს 30 კრედიტს. პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას სოციოლოგიაში. პროგრამის მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია სსიპ - ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან, მიმართულია მაღალი სამეცნიერო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 2 ნოემბერს, ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 10:00 სთ - დან 18:00 სთ - მდე. ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. შეხვედრები ურთიერთპატივისცემისა და საქმიანი დისკუსიის ატმოსფეროში წარიმართა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაში მონაწილეებმა, პროგრამის წარმოჩენისას, გამოავლინეს მაღალი პასუხისმგებლობა და ემოციური ჩართულობა, რამაც უზრუნველყო პროგრამის შესახებ ამომწურავი და საიმედო ინფორმაციის მიღება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის" სადოქტორო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, სწავლების მეთოდოლოგია შესატყვისია პროგრამის მიზნებთან, პროგრამის ათვისების შეფასების კრიტერიუმები ადეკვატურია, კარგად არის გააზრებული სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლების რესურსებით, სათანადოდ გათვალისწინებულია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

  - პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დანერგილია კონსულტაციის სპეციფიური ფორმატი: ჯგუფური განხილვები; საკვლევი საკითხების განხილვის პროცესში დოქტორანტისა და ხელმძღვანელის გარდა პროგრამის დანარჩენ დოქტორანტებსაც ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად მონაწილეობენ განხილვაში. ყველა გამოთქვამს საკუთარ შეფასებებს, კომენტარებსა და რეკომენდაციებს. ჯგუფური განხილვების, მოსაზრებებისა და იდეების გაცვლის პროცესი ნაყოფიერად აისახება დოქტორანტის სადისერტაციო კვლევის პროგრესულ განვითარებაზე.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>წარმოდგენიული სადოქტორო პროგრამაში მკაფიოდ არის აღწერილი სადოქტორო პროგრამის მიზანები. კერძოდ აქ ნათქვამია, რომ პროგრამა მიზნად ისახავს:<br>1. დამოუკიდებელი და სრულფასოვანი მკვლევრების მომზადებას კულტურის და მედიის სოციოლოგიის სფეროში, რომლებიც შეძლებენ: დარგობრივი ცოდნის გამდიდრებას ორიგინალური თეორიული და/ან მეთოდოლოგიური ხედვის შემოთავაზებით;<br>2. ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ინოვაციური კვლევების განხორციელებას თვისობრივი და/ან რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, ან მათი ინტეგრირების გზით, ხოლო მიღებული შედეგების გავრცელებას და დანერგვას როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ასევე შრომის ბაზარზე;<br>3.მულტიდისციპლინური პერსპექტივის განვითარებას, მომიჯნავე სფეროების (კულტურის ანთროპოლოგია, კულტურის კვლევები, მედიის კვლევები, კროსკულტურული ფსიქოლოგია და სხვ.) უახლესი მონაცემების ინტეგრირების საფუძველზე;<br>4. სწავლების უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურები) საკუთარი ცოდნის გადაცემასა და კომპეტენტური კადრების მომზადებას;<br>5.მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებასა და საზოგადოების წინსვლაში შესაბამისი წვლილის შეტანას;<br>ზემოთჩამოთვლილი მიზნები, მკაფიოდ სტრუქტურირებული და გააზრებულია, მიღწევადი და რეალისტურია, რადგან გათვალისწინებულია აღიარებული სამეცნიერო სტანდარტები და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და სპეციფიკა.<br><br>ზემოჩამოთვლილი პროგრამის მიზნები, რომელიც მიმართულია სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპენტენციების მქონე კადრის მომზადებაზე ჰარომინიზირებულია ზოგადსაუნივერისტეტო მიზნებთან და ამოცანებთან, როგორიცაა:<br><br>1. ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება და საზოგადოების ინტელექტუალური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების |

ხელშეწყობა; 2. ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება; ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება;
3.სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

პროგრამა იზიარებს უნივერისტეტის მიერ აღიარებულ ფასეულობებს, კერძოდ, არა მხოლოდ პროფესიონალი მკვლევრების აღზრდას, არამედ მომავალ მკვლევრებში საერთაშორისოდ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებების ფორმირებას, კერძოდ, კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ეთიკის პრინციპებს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის ღია და დინამიკურ ურთიერთობებს.

პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე. გააზრებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და აქედან გამომდინარე პროგრამა მიმართულია ისეთი კადრის მომზადებაზე, რომელიც კონკურენტულ გარემოში შეძლებს საკუთარი სტატუსის და საზოგადოებრივი მდგომარეობის მოპოვებას. ამ მიზნით პროგრამა ცდილობს დოქტორანეტებს მისცეს ისეთი ცოდნა და განუვითაროს უნარები, რომელიც არსობრივად ტრანსფერულია. ეს კარგად არის ასახული პროგრამის მიზნებში, კერძოდ, იქ ნათქვამია:
1. ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ინოვაციური კვლევების განხორციელებას თვისებრივი და/ან რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, ან მათი ინტეგრირების გზით, ხოლო მიღებული შედეგების გავრცელებას და დანერგვას როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ასევე შრომის ბაზარზე;
2. მულტიდისციპლინური პერსპექტივის განვითარებას, მომიჯნავე სფეროების (კულტურის ანთროპოლოგია, კულტურის კვლევები, მედიის კვლევები, კროსკულტურული ფსიქოლოგია და სხვ.) უახლესი მონაცემების ინტეგრირების საფუძველზე;
3. სწავლების უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურები) საკუთარი ცოდნის გადაცემასა და კომპეტენტური კადრების მომზადებას;
4.მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებასა და საზოგადოების წინსვლაში შესაბამისი წვლილის შეტანას.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამაში მკაფიოდ წარმოდგენილია პროგრამის მიზნები, კერძოდ, 1. დამოუკიდებელი და სრულფასოვანი მკვლევარების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ: ა) დარგობრივი ცოდნის გამდიდრება; ბ) ინოვაციური კვლევის განხორცილება მეცნიერული კვლევის მეთოდების გამოყენებით; გ) კვლევით მიღებული შედგების გამოყენება საგანმანათლებლო სფეროში და შრომის ბაზარზე; დ)მულტიდისპლინარული მიდგომის ეფექტური გამოყენება; დ) ცოდნის გადაცემა და ახალი კადრების მომზადება-პედაგოგიური საქმიანობა.
ექსპერტების მიერ პროგრამის ხელმძღვანელებისათვის დასმულ კითხვებზე პასუხებმა და დოკუმენტების გაცნობამ ცხადყო, რომ პროგრამის ავტორებს კარგად აქვთ გააზრებული პროგრამის მიზნები და ამოცანები. გამოიკვეთა პროგრამის მიზნების და ამოცანების

| |
|---|
| შესაბამისობა ზოგადსაუნივერსიტეტო მიზნებთან და ამოცანებთან.:ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება და საზოგადოების ინტელექტუალური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება; ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.<br>პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია მასში მონაწილეთა მსურველთათვის. ის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.<br>პროგრამის მიზნების განხორციელება უზრუნევლყოფილია პროფესორ - მასწავლებელთა შესანიშანავი გუნდით, რომელთაც აქვთ მაღალი პროფესიონალიზმი და მოტივაცია, ეს მკაფიოდ გამოჩნდა მათთან ინტერვიუს დროს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>➢ ინტერვიუს შედეგები;<br>➢ ფაკულტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/strategia%20.pdf<br>➢ სადოქტორო პროგრამის აღწერა (დანართი 1). |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| შეფასება<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებით და შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ისეთ მახასიათებლებს როგორიცაა ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, თითოეული მახასიათებელი კარგად არის გააზრებული და პუნქტობრივად წარმოდგენილი. ამ მახასიათებელიბის თანახამად პროგრამა დოქტორნატებს უვითარებს თეორიების ორიგინალური ინტერპრეტირება, სისტემური და კრიტიკული გააზრების, ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციოკულტურულ პროცესთა კრიტიკული ანალიზის, მათ შესასწავლად ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარებს; ასევე აყალიბებს პასუხისმგებელ და დამოუკიდებელ ავტონომიურ მკვლევარს და შეესაბამება სადოქტორო პროგრამის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სწავლის შედგების უზრუნველყოფაში ჩართულია პროგრამაში მონაწილე ყველა მხარე: ხარისხის მართვა, ადმინისტრაცია, პროფესორები და, რაც მთავარია, თვითონ დოქტორანტები. სწავლის შედეგების, მიღწევების გაცნობა დოქტორნატებისათვის უზრუნველყოფილია სხვადსახვა საშუალებებით, კერძოდ: კვლევის შედეგების გაცნობით და უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფრომაციის გაცვლით. დოქტორნათებთან ინტერვიუმ ცხადად აჩვენა, რომ ინფორმაციის გავცლის პროცესი ცოცხალი და შედეგიანია.<br>თვითშეფასების დოკუმენტის ანალიზმა და ჩატარებულმა ინტერვიუებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ პროგრამის სწავლის შედგები მუდმივად მოწმდება სათანადო კვლევებით.<br>შეფასება არის ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე, მასში მონაწილეობს პროგრამაში ჩართული ყველა მონაწილე, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის პერმანეტული გაუმჯობესება, ეფექტური და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო და კვლევითი პროცესის უზრუნველყოფა, პროგრამაში ჩართული ყველა მონაწილის-ადამისტრაციის, პროფესორებისა და დოქტორანტების მოსაზრებების გათვალისწინება.<br><br>აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს ინტერდისციპლინარულ მიდგომას და სტუდენტებს აძლევს საკმარის თეორიულ ცოდნას; უვითარებს მოპოვებული ემპირიული მასალის დამუშავების და თეორიული მიდგომის ემპირიულ მონაცემებთან მიყენების |

| |
|---|
| უნარს. პროგრამის გაცნობის, წარმოდგენილი დოკუმენტების - სასწავლო გეგმის, სილაბუსების და ა.შ. - გაცნობის შემდეგ შეიძლება დავასკვანთ, რომ პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორნტის აღჭურვას უნარების ყველა იმ ნაკრებით, რომელიც თანამედროვე მკვლევარისთვის არის აუცილებელი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედგებები გაზომვადია და გამჭვირვალე. რაც დასტურდება, იმით, რომ შედგების გაზომვის ინსტრუმენტების შემუშავების პროცესი ღიაა და მისი ვალიდურობის დადგენაში უზრუნველყოფილია პროფესორებისა და დოქტრორნატების მონაწილეობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>➢ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>➢ ინტერვიუს შედეგები. |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები შედგენილია დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით და ასევე უნივერისტეტის მიერ დაწესებული დებულებების გათვალისწინებით. პროგრამაზე მიღება ხდება თსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე. ბრძანებაში განსაზღვრულია გამოცდების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.<br>დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და გამჭვირვალე - დოქტორანტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებგვერდზე.<br>პროგრამაზე დაიშვების წინაპირობა ასეთია:<br>1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, |

| |
|---|
| ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხის მქონე, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომის მფლობელი პირები, რომლებიც სოციალური თეორიის და მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) სათანადო კომპეტენციას ფლობენ, რათა ემპირიული კვლევის წარმართვა და შესაბამისი სოციალური თეორიებით მისი გამყარება შეძლონ;<br>2.ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე;<br>3. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;<br>4. გასაუბრება და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია;<br>5. სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა, რომელსაც დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი წარმოადგენს.<br>ინტერვიუებმა და უნივერისტეტის ვებგვერდის დათვალიერბამ და თვითშეფასების დოკუმენტის გაცნობამ ცხადო, რომ კანდიდატებისათვის უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება პროგრამის მიზნებს და პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი: 19 https://tsu.ge/ge/faculties/social/study_proc/phd_soc//<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი: https://www.tsu.ge/ge/study/catalogue/;<br>➢ სადოქტორო პროგრამის აღწერა (დანართი 1);<br>➢ უნივერსიტეტის რეგულაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ (დანართი 15);<br>➢ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>➢ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება იმართება თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილებით, სადაც ნათქვამია, რომ „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია:

1. შრომის ბაზრის მოთხოვნები;
2. კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი;
3. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
4. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები,
5. პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

პროგრამის განახლების მიზნით შეიქმნა დარგობრივი კომიტეტი (ოქმი N1, 5 თებერვალი, 2018). დარგობრივი კომიტეტის წევრების მიერ შეჯერებული პროგრამა განსახილველად გადაეცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო წარდგენილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა უმაღლესი საგანამანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან, რის შემდეგაც პროგრამა დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული პროგრამა გადაეგზავნა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პროგრამა დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიურ საბჭოს.

ზემოთაღნიშნული ჩატარებული სამუშაოების შემდეგ განისაზღვრა კულტურის და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის პარამეტრები, კერძოდ:

1. სწავლის ხანგრძლივობა (შეადგენს 3 აკადემიურ წელს).
2. პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს, რომელიც გულისიხმობს დოქტორანტის შემდეგ აქტივობებს: სავალდებულო და არჩევითი კურსების აღებას.

სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს:

ა) დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი;

ბ) პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი;

გ) კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები: ა) პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი;

ბ) პერფორმანსის სოციოლოგია - 5 კრედიტი;

გ) საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები - 5 კრედიტი.

გარდა ამისა დოქტორანტს ასევე აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება. დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობას წარმოადგენს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.

ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტები პარალელურად მიმდინარეობს და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. რაც დასტურდება სილაბუსების ანალიზით, სადაც ეს წინაპირობა მკაფიოდ არის გაწერილი.

სასწავლოკომპონენტის დასრულება დოქტორანტს ევალება 6 სემესტრის განმავლობაში, ხოლო დისერტაციაზე მუშაობა შეუძლია 9 სემესტრის განმავლობაში და მეათე სემესტრში ევალება სადისერტაციო საბჭოს წინაშე ნაშრომის დაცვა. მოცემული სადოქტორო პროგრამის მახასიათებელია ინტერდისციპლინურობა და კვლევის მეთოდების მრავალფეროვნება, რის საფუძველზეც დოქტორანტს საშუალება ეძლევა, კულტურის და

| |
|---|
| მედიის ფენომენები სხვადასხვა პერსპექტივიდან დაინახოს და მიმდინარე სოციოკულტურული პროცესების ღრმა და სისტემური ანალიზი განახორციელოს. ამასთან, სადოქტორო პროგრამით მომზადებული სპეციალისტი შეძლებს, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს როგორც კვლევითი, ასევე სასწავლო პროცესი.<br>სასწავლო პრგრამის შედგენის პროცესში მონაწილეობდნენ დამსაქმებლები. პროგრამამ გაითვალისწინა დამსაქმებლების მოთხოვნა კვლევის მეთოდების კომპონენტის სწავლების ადრეულ ეტაპზე გადმოტანსათან დაკავშირებით, რაც სათანადოდ აისახა პროგრამაში.<br>თვითშეფასების დოკუმენტის, ინტერვიუსა და სხვა წარმოდგენილი მასალების ანალიზით დასტურდება, რომ სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა პროგრამით დაინტერესებული ყველა მხარე. პროგრამის შემუშავების პროცესი იყო ღია და გამჭვირვალე. პროგრამის შედგენაში ჩართული პირები ითვალისწინებდნენ დამსაქმებლების მოთხოვნებს, (დამსაქმებლებთან ჩატარდა ინტერვიუები) ასევე დოქტორანტების გამოკითხვით მიღებულ უკუკავშირს. ფაკულტეტის ხარისხის სამსახური აფასებდა პროგრამის შესატყვისობას კანონმდებლობასთან და უნივერიტეტის რეგულაციებთან. შედეგად მიღებულ იქნა სტანდარტების და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამა, რომელიც შეესატყვისება პროგრამით გათვალისწინებულ, დასახულ მიზნებს. სილაბუსები გამართულია: მასში ასახეული კონკრეტული სფეროს/დიციპლინის უახლესი მიღწევები და მორგებულია პროგრამის საჭიროებას პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ლოგიკური თანმიმდევრულობით არის შედგენილი: სილაბუსში განსაზღვრულია თითოეული საგნის ადგილი პროგრამაში. ლოგიკური თანმიმდევრულობის დახვეწის მიზნით პროგრამის ხელმძღვანელებმა საგნების დროითი განაწილება შეიცვალეს. ასე მაგალითად, კვლევის მეთოდები სწავლების უფრო ადრეულ ეტაპზე იქნა გადმოტანილი, რითაც გამოსწორდა ძველი პროგრამის ხარვეზი. . |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ ინტერვიუს შედეგები;<br>➢ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>➢ სადოქტორო პროგრამის აღწერა (დანართი 1); 3. სადოქტორო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1); |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სადოქტორო პროგრამა არსებითად საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სასწავლო კურსებს ეყრდნობა. კურსები წარმოდგენილია სილაბუსებით და ისინი პროგრამის მიზნების შესრულებას, შედეგების მიღწევას ემსახურებიან. სილაბუსების ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამა მიმართულია დარგში ახალი და უახლესი ცოდნის ათვისებაზე. ამის ნათელი დადასტურება შეიძლება ვიპოვოთ სილაბუსის შინაარსში და მითითებულ ლიტერატურაში. სილაბუსების შინაარსი, სალექციო თემების ჩამონათვალი, კონკრეტული სფეროს ძირიდად და აქტუალურ ასპექტებს მოიცავს, ხოლო მითითებული ლიტერატურა თანამედროვე და კურსისის მიმართ რელევანტურია.<br>გამართულია შეფასების სიტემაც. ის ასე გამოიყურება:<br>დოქტორანტის სასწავლო კომპონენტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. შეფასების სისტემა: (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური |

შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა1 – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 1 სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა, შეფასების სხვა კომპონენტებში, ითვლება ჩაჭრილად. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვალდებულია, დამატებითი გამოცდა დანიშნოს, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად, შემდეგი სქემის მიხედვით: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81- 90 ქულა; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები

შეფასების სისტემა შესაძლებლობას იძლევა სამართლიანად და ადეკვატურად შეფასდეს დოქტორატრის მიღწევები. აღსანიშნავია, რომ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები“ სავალდებულოა დოქტორნატებისათვის, რაც ხელს უწყობს ემპირიული მასალის ანალიზით ახალი ცოდნის მოპოვებას. კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის არსებობა პროგრამაში გამართლებულია რამდენიმე აზრით: 1. ყველა დოქტორანტს ეს კურსი არ აქვს გავლილი და ამით შესაძლებლობა ეძლევა დაეუფლოს მას; 2. ამ კურსის გავლა კარგია იმათთვისაც, ვინც უკვე მაგისტრატურაში გაიარა კვლევის მეთოდები, რადგან კურსი შესაძლებლობას აძლევს დოქტორნატს სწავლის პროცესში კარგად გაიაზროს კონკრეტული მეთოდი საკუთარი კვლევითი პროექტის, სადოქტორო ნაშრომის, სპეციფიკის გათვალისწინებით.

„დარგობრივი სემინარი“ არის დოქტორანტისათვის კიდევ ერთი საშუალება წარმოაჩინოს საკუთარი თავი კოლეგების, ხელმძღვანელებისა და ზოგადად, აკადემიური პერსონალის წინაშე. დოქტორანტის მონაწილეობა პედაგოგიურ საქმიანობაში (პროფესორის ასისტენტობა და ა.შ.) მიმართულია მომავალი მეცნიერის სასწავლო-პედაგოგიური უნარების განვითარებაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;

- სადოქტორო პროგრამის აღწერა (დანართი 1);
- სადოქტორო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1);
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (დანართი 9).

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○

შეფასება

**Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამა შედგენილია და გამიზნულია არა მხოლოდ კონკრეტული მიზნის-დისერტაციის დაცვის- მისაღწევად, არამედ მიზნად აქვს დოქტორანტებს განუვითაროს ტრანსფერული უნარები, რომელიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გამოადგებათ. პირველ რიგში სამეცნიერო,კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების შეძენას პროგრამა

უზრუნველყოფს კრიტიკული აზროვენების უანრების განვითრებით, პროგრამა ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას კვლევის პროცესში; მეორე რიგში კვლევის მეთოდების დაუფლება დოქტორნატებს შესაძლებლობას აძლევს არა მხოლოდ აკადემიური კვლევის სათანადო ჩასატარებელად, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაში. ასე მაგალითად, დოქტორანტს შეუძლია დასაქმდეს მარკენტინგულ ან პირველადი სოციოლოგიური ინფორამციის მოპოვებაზე ორინეტირებულ ორგანიზაციებში (მაგალითად, სოციილოგიური კვლევის ცენტრებში,სტატისტიკურ სამსახურებში, ბანკებში და ა.შ.). დოქტორნატებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი პროგრამაზე შეძენილ ამ უნარებს წარმატებით იყენებენ კონკრეტული დასაქმების სფეროში.

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას პროგრამა ასევე უზრუნველყოფს დოქტორანტების სხვადასხვა პროექტებში ჩართვით. ეს დადასრტურდა ინტერვიუს დროს და ასვე თვითშეფასების დოკუნეტით, სადაც ნათქვამია, რომ „დოქტორანტები დიანა ლეჟავა და მარიამ ამაშუკელი სწორედ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევით პროექტებში არიან ჩართულნი. მარიამ ამაშუკელი, რომელიც უმაღლესი განათლების ევროპეიზაციის საკითხებს იკვლევს, ჩართული იყო ლია წულაძის ხელმძღვანელობით განხორციელებულ ორ პროექტში ევროპეიზაციის საკითხებთან დაკავშირებით: „ევროპეიზაციის პერფორმანსი - პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში” (2014-2016, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN) მხარდაჭერით, რომლის შედეგადაც ამავე სახელწოდების ორენოვანი (ქართულ და ინგლისურენოვანი) პუბლიკაცია გამოქვეყნდა) და „ვიზალიბერალიზაციის შემდგომი დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში” (2018-2020, მიმდინარე პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით). დიანა ლეჟავა და მარიამ ამაშუკელი მთავარი მკვლევრების სახით არიან ჩართულნი პროექტში „ბოლონიის გამოწვევები: მაღალპროდუქტიული სამუშაო ძალა და უმაღლესი განათლება საქართველოში” (2019-2021, მიმდინარე პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, რომლის ფარგლებშიც ახორციელებენ მათი სადოქტორო ნაშრომებისთვის ემპირიული მონაცემების მოსაძიებლად საჭირო თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევებს).“

გარდა ამისა, პროგრამაში გათავლისწიენებულია ისეთი ტრასფერული უნარების განვითრების ხელშეწყობა, როგორიცაა:

1.აკადემიური და ფართო საზოგადოებისთვის სამეცნიერო ინფორმაციის ზეპირი და წერითი ფორმით ეფექტური კომუნიკაცია, ქართულ და უცხო ენებზე.

2.რესპონდენტებთან ეთიკური და კორექტული ურთიერთობის უნარი, მათი კონფიდენციალობის დაცვა და კვლევის ეთიკის ძირითადი პრინციპების ზედმიწევნით განხორციელება.

ამას გარდა, აღნიშნული უნარები განვითარება უზრუნევლყოფილია კვლევის ინსტრუმენტის სწორად შერჩევის, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის, ახალი ცოდნის უკვე არსებულ ცოდნასთან ინტეგრაცია-შეპირისპირების, მიღებული შედეგების ჟანრობრივად განსხავებულ ფორმაში გადმოცემის დაუფლებით . ამისთვის კი პროგრამა მიმართავს სხვადასხვა ხერხებს რელევანტური ინსტრუმენტებს კერძოდ, პროგრამაში დოქრორანტს აქვს შესაძლებლობა ჩაატაროს დისკუსია/სემინარი, წარმოადგინოს პრეზენტაცია, ის ვალდებულია წარსდგეს პრეზენტაციით სპეციალიზებული სექციის

| |
|---|
| სხდომაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ ინტერვიუს შედეგები;<br>➢ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>➢ სადოქტორო პროგრამის აღწერა (დანართი 1);<br>➢ „საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსურიუზრუნველყოფისწესი“: https://tsu.ge/ge/faculties/social/fp6ifnwftxfvl8p_o/nf9xxyjizjl3qesu//<br>➢ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიმდინარე პროექტები (იხ. css.ge), რომელშიც ჩართულნი არიან დოქტორანტები;<br>➢ დოქტორანტების დიანა ლეჟავას და მარიამ ამაშუკელის პუბლიკაციები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| შეფასება<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამაშიი გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება საწავლო კურსიების მიზნებსა და შინაარს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. ამ მიზნით გამოიყენება მეთოდები:

1. წიგნზე მუშაობის მეთოდი - საკვლევ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, შემოქმედებითად გააზრება და მის საფუძველზე საკუთარი ემპირიული კვლევისთვის თეორიული ჰიპოთეზების შემუშავება.
2. წერითი მუშაობის მეთოდი - კვლევის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ჟანრის აკადემიური ნაშრომის სახით.
3. კვლევითი სემინარის და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წერითი ფორმით წარდგენა (ზეპირ პრეზენტაციასთან ერთად).
4.პრაქტიკული მეთოდები - ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა და მისთვის ადეკვატური კვლევის მეთოდების შერჩევა-გამოყენება, აგრეთვე მათი ორიგინალური სინთეზი (ინტერდისციპლინურობის და მულტიმეთოდურობის პრინციპების გათვალისწინებით).
5. დისკუსია–დებატები -მომიჯნავე სფეროებით დაინტერესებულ დოქტორანტებთან დისკუსიების წარმართვა;
6. კვლევის პროცესში ჯგუფური ინტერვიუს დამოუკიდებლად ჩატარება და მოდერაცია;
7. ჯგუფური მუშაობა - გუნდური მუშაობის პრაქტიკა კვლევით პროექტებში მონაწილეობის, აგრეთვე სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის მცირემასშტაბური კვლევითი პროექტების დაგეგმვის და ხელმძღვანელობის გზით.
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - საკვლევი პრობლემის სწორად დასმა და მის გადასაჭრელად ადეკვატური საკვლევი ინსტრუმენტების შერჩევა;
9.პრობლემის გადაჭრის არსებული გზების ინოვაციური ხედვით გამდიდრება.
10. შემთხვევის ანალიზი (Case Study) - საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავინაშრომი - შეფასების 91-100 ქულა; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; 32 დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად 27 მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-

60 ქულა; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები. ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა, ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად. დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა მინიმუმ 2 სამეცნიერო პუბლიკაცია, ასევე, 2 სამეცნიერო -კვლევითი პროექტის შესრულება და ზეპირი პრეზენტაცია.

სადოქტორო ნაშრომის დაცვლის ეს მოთხოვნები საყოველთაოდ აღიარებულია და მიღებულია თანამედროვე სამეცნიერო პრაქტიკაში.

სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები და დისტერტანტის ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან ხოლო ზემოთაღწერილი ინსტრუმენტები უზრუნველყოფს მის წარმატებით გატარებას,

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სადოქტორო პროგრამის აღწერა და სილაბუსები (დანართი 1).

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მოცემულია შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო, ღია, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.<br>ასევე, დოქტორანტს წინასწარ მიეწოდება და საჯაროა სემინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესაფასებლად შემუშავებული კრიტერიუმები.<br>სადოქტორო დისერტაციის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურები დეტალურადაა მოცემული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. 26 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სტუდენტი ფასდება ECTS–ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე). დოქორანტის სასწავლო კომპონენტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური |

| |
|---|
| შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორისახისუარყოფითიშეფასებას: (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაცნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.<br><br>სადოქტორო პროგრამით წარმოდგენილი დოქტორანტების შეფასების სისტემა შეესაბამება კანონმდებლობით და მსოფლიო აკადემური მეთოდოლოგიით განსაზღვრულ და პარაქტიკით მიღებულ სტანდარტებსა და ნორმებს. შეფასების ყველა კომპონენტი ნათლად არის გაწერილი და გამჭვირვალეა. არ შერიცავს ორაზროვნებებს და სრულებით პასუხობს სადოქტორო პროგრამების სწავლის მიზნებს, ამოცანებს და მისაღწევ შედგებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ ინტერვიუს შედეგები;<br>➢ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>➢ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება: http://www.tsu.edu.ge/data/file_db/PR/soc-poldoqtorantura.pdf ;<br>➢ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის დადგენილება N 116/2018 სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსდებულების დამტკიცების შესახებ (დანართი 15);<br>➢ სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1);<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (დანართი 1). |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
| --- |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. პროგრამაში ჩართულ დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და კვლევებში; მათ შორის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის საერთაშორისო კვლევით პროექტებში. ასევე, ადგილორივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში და კონფერენციებში; დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო მობილობის პროგრამებით. კონსულტაციის პროცესში ჩართული არიან, როგორც პროგრამის ხელმძღვანელები, ისე, სამეცნიერო ხელმძღვანელები და პროგრამაში მონაწილე პროფესორები. დოქტორანტებისთვის რეგულარულად ხდება ინფორმაციის მიწოდება, როგორც ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე, ელ-ფოსტის საშუალებით. ინდივიდუალური კონსულტაციებისთვის გამოყოფილია სპეციალური შეხვედრების სივრცე. გარდა პროგრამით გათვალისწინებული საკონსულტაციო და კარიერულ განვითარებსათან დაკავშირებული მხარდაჭერისა, დოქტორანტების აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებას ემსახურება უნივერსიტეტში არსებული რიგი სერვისები დასპეციალური დადგენილებებით განსაზღვული რეგულეციები და პროცედურები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება N16 “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ” (დანართი 8);<br>➢ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები (დანართი 3);<br>➢ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიმდინარე პროექტები (იხ. css.ge);<br>➢ „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის No112/2013 დადგენილება;<br>➢ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დანართი 15);<br>➢ თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი (დანართი 15);<br>➢ სტრუქტურული დეპარტამენტების დებულებები (დანართი 4); |

| |
|---|
| ➢ თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება No71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთასა განმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ https://tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/712018/;<br>➢ სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობები (აღწერითი დოკუმენტი);<br>➢ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ინტერვიუებით მიღებული ინფორმაცია. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| პროგრამას აქვს მზაობა უზრუნველყოს დოქტორანტები საკვლევი თემის შესაბამისი და სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების მქონე შესაბამისი კვალიფიკაციის სამეცნიერო ხელმძღვანელებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დოქტორანტების ხელმძღვანელობის საჭიროებებს. სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (13 პროფესორი) თანაფარდობაშია სტუდენტების არსებულ რაოდენობასთან (5); დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება - მოვალეობების და მასთან დაკავშირებული პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიერ შემუშავებული დოკუმენტით; ხელმძღვანელები რეგულარულად ანხორცილებენ დოქტორანტების კონსულტირებას, რომლის სიხშირე შესაბამისობაშია როგორც პროგრამის , ასევე, საკვლევი საკითხების სპეციფიკასთან. სამეცნიერო ხელმძღვანელები დოქტორანტებს რეგულარულად აძლევენ რღევებს საკვლევი თეზისის, კვლევის დიზაინის და მენეჯმენტის შესახებ. ასევე ეხმარებიან ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში. დოქტორანტების სამეცნიერო სტატიები ქვეყნდება რეფერირებად ჟურნალებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>➢ თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი (დანართი 15);<br>➢ სადოქტორო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის CV-ები და პუბლიკაციები (დანართი 3);<br>➢ დოქტორანტების ხელმძღვანელების CV-ები (დანართი 3);<br>➢ დოქტორანტების ხელმძღვანელების პუბლიკაციები (დანართი 3);<br>➢ დოქტორანტების პუბლიკაციები (დანართი 18);<br>➢ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაცია. |
| რეკომენდაციები: |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დანერგილია კონსულტაციის სპეციფიური ფორმატი: ჯგუფური განხილვები; საკვლევი საკითხების განხილვის პროცესში დოქტორანტისა და ხელმძღვანელის გარდა პროგრამის დანარჩენ დოქტორანტებსაც ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად მონაწილეობენ განხილვაში. ყველა გამოთქვამს საკუთარ შეფასებებს, კომენტარებსა და რეკომენდაციებს. ჯგუფური განხილვების, მოსაზრებებისა და იდეების გაცვლის პროცესი ნაყოფიერად აისახება დოქტორანტის სადისერტაციო კვლევის პროგრესულ განვითარებაზე.<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>**Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მაღალ კვალიფიკაციის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორისაა სწავლის შედეგების მიღწევის მრავალწლიანი გამოცდილება და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვი აუცილებელი კომპეტენცია. საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც კანონმდებლობით და თსუ-ში მოქმედი რეგულაციებით განისაზღვრება, სრულად შეესაბამება სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია. სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისმასწავლებლების და მოწვეული პერსონალის , ასევე, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა (13 პროფესორი) თანაფარდობაშია სტუდენტების არსებულ რაოდენობასთან (5). მათი კომპეტენცია და ფუნქციების ჯეროვანი შესრულება უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო პროცესის წამართვას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების CV-ები;<br>➢ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებები;<br>➢ ფაკულტეტის დებულებები;<br>➢ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>➢ ინტერვიუს შედეგები. |

| |
|---|
| ➢ |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დანერგილია კონსულტაციის სპეციფიური ფორმატი: ჯგუფური განხილვები; საკვლევი საკითხის განხილვაში დოქტორანტისა და ხელმძღვანელის გარდა მონაწილეობას იღებს პროგრამის ყველა დოქტორანტი რომლებიც მონაწილეობას იღებენ საკვლევი საკითხის განხილვაში და გამოთქვამენ საკუთარ შეფასებებს, კომენტარებსა და რეკომენდაციებს. ჯგუფური განხილვების, მოსაზრებების და იდეების გაცვლის პროცესი ნაყოფიერად აისახება დოქტორანტის სადისერტაციო კვლევის პროგრესულ განვითარებაზე.<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პერსონალის პროფესიულ განვითარების მექანიზმები ინსტიტუციონალური ხასიათის მქონეა, რაც ხელს უწყობს პროგრამში ჩართული პერსონალის აკადემიური საქმიანობის რეგულარულად შეფასებასა და ანალიზს. პროგრამაში ჩართული და მოწვეული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაქცლითი პროგრამებში, ასევე, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული აქტივობებში აქტიური მონაწილება უზრუნველყოფს მაღლკვალიფიციური სამეცნიერო/კვლევითი და აკადემიური საქმიანობის განხორციელებას. 2018 წლიდან თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულა თსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აკადემიური და სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის და მასწავლებლების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას. აკადემიური პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვ.) შედეგების გამოიყენება ხდება მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების (ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და სხვ) როგორც ფინანსური, ასევე, ორგანიზაციული მხარდაჭერით. შეფასების შედეგები გათვალისწინება ხდება, ასევე, პერსონალის დაწინაურებასა და წახალისებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2018, 2019)
- თსუ - ის კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები;
- თსუ - ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სადოქტორო პროგრამის მიზნებსა და შედეგების მიღწევას შეესაბამება მის განკარგულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, კომპიუტერული სარესურსო ცენტრები და სხვ.) გარდა ამისა, პროგრამა მხარდაჭერილია ფაკულტეტის მატერიალურ- |

ტექნიკური ბაზით და ბიბლიოთეკებით. ასევე, სოციალური მეცნიერებათა ცენტრის ინტერდისციპლინური ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკებში წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურა და რესურსები მუდმივად განახლების პროცესშია და ფარავს თანამედროვე პერიოდს. არსებული რესურსების და მათი მოხმარების შესახებ დოქტორანტების ინფორმირება რეგულარულად ხდება, როგორც პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, ასევე, ფაკულტეტის მიერ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სოციოლოგიის მიმართულების სარესურსო ცენტრი;
- ფაკულტეტის ბაზაზე არსებული ინვენტარის ჩამონათვალი (დანართი 18);
- თსუ-ისვებგვერდი: https://www.tsu.ge;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკის კატალოგი: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/;
- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკა თსუ-ის მე-2 კორპუსში.
- ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამისათვის საჭირო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, ხდება თსუ-ის ბიუჯეტის საფუძველზე და შეესაბამება სადოქტორო პროგრამის საჭიროებებს. გარდა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების შრომითი ანაზღაურებისა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შენახვა/სრულყოფისა, ბიუჯეტში, ასევე, გათვალისწინებულია სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისთვის და სტუდენტების სასწავლო/სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და ფინანსებისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენცეიებში მონაწილეობა, წიგნადი ფონდის განახლება და სხვა გამომცემლობითი აქტივობები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი;
- თსუ - ის ბიუჯეტი;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის „კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის შეფასების დროს დადგინდა, რომ ისევე, როგორც პროგრამას, ასევე მთლიანად უნივერსიტეტს, აქვს შიდა შეფასების საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცდილება და მექანიზმი. ეს დასტურდება, როგორც ინტერვიუს, ისე წარმოდგენილი დოკუმენტებით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა შიდა შეფასების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა, რაც ზოგადად ხელს უწყობს პროგრამების სტრუქტურის ჩამოყალიბებას და შიდა პოლიტიკის განსაზღვრას. ასევე, წარმოდგენილი იყო სტუდენტების შეფასებები, კითხვარები და მათი ანალიზი. თუმცა ანალიზის შედეგები იყო ზოგადად საუნივერსიტეტო, ხოლო საფაკულტეტო დონეზე წარმოდგენილი იყო დოქტორანტების წერილობითი შეფასებები კულტურისა და მედიის სადოქტორო პროგრამის შესახებ. სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ჩართული არიან გამოკითხვებში, ასევე მონაწილეობას იღებდნენ თვითშეფასების პროცესში. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სტუდენტებს თვითონ აქვთ ინტერესი, რომ ჩართულნიიყვნენ პროგრამის განვითარების პროცესში. ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ ლექცია, სადაც ისინი სწავლობდნენ ლექციის ჩატარების სტრუქტურას, თუმცა სტუდენტებმა ჩათვალეს, რომ ეს თეორიული ცოდნა არ ეხმარებოდა მათ განვითარებაში და სჯობდა გაეარათ ლექტორის ასისტენტობის კურსი, რაც უფრო პრაქტიული კომპონენტი იყო. სტუდენტებმა მიმართეს ფაკულტეტს, ფაკულტეტმა საკითხი განიხილა და საბოლოოდ სტუდენტების სასარგებლოდ მიიღეს გადაწყვეტილება. დღეს თვლიან, რომ ასეთი მიდგომა მათ უფრო დაეხმარა ლექტორის უნარების განვითარებაში. ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ისინი ძალიან აქტიურად არიან ჩართულნი შიდა შეფასების პროცედურებში, თვითშეფასების, პროგრამისა და ფაკულტეტის გეგმის ჩამოყალიბებასა და შემუშავებაში. უნივერსტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა ფაკულტეტის ხარისხის უნზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ანგარიში, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული შიდა შეფასების მექანიზმების დახმარებით რა აქტივობა განახორციელა ფაკულტეტმა:

-  ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული ცვლილებების გათვალისწინებით პროგრამების მომზადება ვებგვერდზე განსათავსებლად;
-  შესწორებული სილაბუსების მომზადება ელექტრონულ ბაზაში ასატვირთად;
-  ხორციელდება საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების შემოწმების და განახლების პროცესი, შიდა და გარე ექსპერტების ჩართვით;
-  საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე სტუდენტების

| |
|---|
| გამოკითხვების ორგანიზების ხელშეწყობა.<br> უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგში ჩართვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>➢ სტუდენტების შეფასება;<br>➢ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში;<br>➢ თვითშეფასება;<br>➢ გამოკითხვების შედეგების ანალიზები. |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება გამოკითხვები, როგორც კურსდამთავრებულების ისე დამსაქმებელების. აღნიშნულ ფაკულტეტს ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული და ამიტომ, მათ წარმოადგინეს მხოლოდ სტუდენტების წერილობითი პროგრამის შეფასება. დამსაქმებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ ისინი ძალიან კარგად იცნობენ პროგრამას. ერთ-ერთი დამსაქმებელი არის თვითონ პროგრამის ხელმძღვანელი, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს რომ ჩართულები იყვნენ სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებში. გარდა ფორმალური კითხვარის შევსებისა, უნივერსიტეტს ძალიან აქტიური და ხშირი ურთიერთობა აქვს დამსაქმებლებთან, ისინი ხვდებიან, როგორც ფორმალრად ისე არაფორმალურად უნივერსტეტის წარმომადგენლებს და განიხილავენ პროგრამის ძირითად კომპონენტებს.  ეს ფაქტი დაადასტურეს, როგორც დამსაქმებლებმა ისე პროგრამის განმახორციელებლემა. დამსაქმებლები უზიარებენ მათ შეხედულებებს პროგრამის განმახორციელებლებს, რაც ეხმარება პროგრამას, დამსაქმებელთა ახალი მოთხოვნების გათვალისწინებაში. ასევე უნივერსტეტმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ კვლევას დასაქმების მიმართულებით, ერთ-ერთი დოკუმენტში წარმოდგენილია აკადემიური პროგრამის შედეგებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში. თუმცა უშუალოდ პროგრამის ფარგლებში დოკუმენტურად არ არის მსგავსი ანალიზი წარმოდგენილი. თვითშეფასების შემუშავების პროცესში ჩართული იყო მოწვეული გარე ექსპერტი: კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რაც აღნიშნულია თვითშეფასების დოკუმენტში. უნივერსტეტს წინა აკრედიტაციიდან მიეცა რეკომენდაციები, რომელთაგან მან ორივე შეასრულა. ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, პროგრამაში იყო ბევრი ზოგადი კურსი, რაც შეიცვალა და დღეს წარმოდგენილია, როგორც „პერფონმანსის სოციოლოგია“ აღნიშნული კურსი არის არჩევითი და მინიჭებული აქვს 5 კრედიტი. კურსის მიზანია დოქტორანტს სიღრმისეული ცოდნა მიაწოდოს პერფორმანსის სოციოლოგიის სფეროში. კურსის შინაარსი მრავალფეროვანია, რაც მოცემულია სილაბუსში.  ის, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ახორციელებს გარე შეფასებას, ეს ჩანს მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომელიც ეხება შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს.

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>➢ ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და<br><br>სტუდენტებთან;<br><br>➢ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების<br><br>საგანამანათლებლო პროგრამაზე;<br><br>➢ აკადემიური პროგრამების შედეგებისა და შრომის ბაზრის კვლევა სოციალურ<br><br>მეცნიერებებში;<br><br>➢ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი.<br>➢ სსპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტი პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს მონიტორინგის მექანიზმები, იმისათვის, რომ პროგრამამ გამართულად იმუშაოს. უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტს აქვს პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული რა შესრულდა და რა მიზნამდე ვერ მივიდა პროგრამა, რაც საშუალებას აძლევს პროგრამის განმახორციელებლებს მოახდინონ სტრატეგიის მოდიფიცირება ან აღნიშნულის განვითარება. ასევე, უნივერსტეტმა წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა. პროგრამის ერთ-ერთი ამოცანაა, იყოს ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარება, სწორედ ამ მიზნით ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში წარმოდგენილია ხედვები თუ რა უნდა განავითაროს ფაკულტეტმა და უშუალოდ პროგრამამ. მონიტორინგის პროცესი უნივერსიტეტში მიმდინარეობს, როგორც ფორმალურად ისე არაფორმალურად. ინიშნება შეხვედრები აკადამიურ პერსონალთან, სტუდენტებთან. პროფესორებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ხშირად ხდება პროგრამის შეფასება, მათ მიერ იკვეთება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები. შესაძლოა ერთ-ერთი სუსტ მხარედ მივიჩნიოთ ნაკლები ჩართულობა სტუდენტების საერთაშორისო კვლევით პროცესებში, თუმცა, როგორც გასაუბრებიდან ჩანს რეალურად სტუდენტს ხელს უშლის სხვა პასუხისმგებლობები, რაც აკისრია გარდა სადოქტორო პროგრამაზე სწავლისა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან;

| |
|---|
| ➢ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;<br><br>➢ უსდ - ს მიერ ჩატარებული გამოკითხვები, სტუდენტების შეფასებები.<br><br>➢ უსდ- მიერ ჩატარებული გამოკითხვები სტუდენტების შეფასებები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის | X | | | |

| განვითარების შესაძლებლობები | | | | |
|---|---|---|---|---|

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
კულტურის და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დოქტორნატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

ემზარ ჯგერენაია



ანა კირვალიძე



თამარ თავხელიძე

